ცნობის ფურცელი

№ 1846 კვირა, 23 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1846

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში გახქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე 46 №-რი

დამწუხრებული ძმები: მირიან, ალექსი, იაკინთე, სოლომონ და იაგორ გაბრიელის ძენი ბოლქვაძეები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი არის დანიშნული 29 თიბათვეს მიქელ გაბრიელის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, სოფელ მიქელ გაბრიელში, უდროვოდ გარდაცვალებულის ძმის

თეოფილე გაბრიელის ძე ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლად. (2—344—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვების და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—3 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრავატები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანამედოვისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274 (წლ.)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღის გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, ვინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასისტენტი

ექიმი

ა. ი. გალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპ-

(15—12)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ცურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშო და თვალის.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ვიზრუნოთ!

სხვა მწვავ კითხვათა შორის ფრიად გამწვავებული კითხვა თანამედროვე საქართველოში—უმამულობის საქმეა. განსაკუთრებით იმერეთის გლეხია შავს დღეში ჩავარდნილი. ჩვენი გლეხ-კაცი, რომელიც აქამდე იმ ადგილს, სადაც დაიბადა და სადაც წინაპრების სალოცავები ეგულება, სხვა ალაგის სამოთხეზე არ გასცვლიდა, ისეთს უმწეო ყოფაში ჩავარდა, რომ მზათაა ყველაფერი გასწიროს და ცხრა მთას იქით გადაიკარგოს. ამ მხრივ ყველაზე მეტად კერპი და გაუტეხელი რაჭველი უნდა ჩაითვალოს და ამ ბოლოს დროს, რაკი შიმშილმა მოუჭირა, იმასაც მოაშლევინა ფუზე და სტავროპოლის გუბერნიისაკენ აქნევინა პირი (სოფ. ალაგირი). ქუთაისის მაზრაში, სამეგრელოში (განსაკუთრებით სენაკის მაზრა) რამდენია ისეთი სოფელი, რომ დიდის სიამოვნებით აიყრებოდა, ოღონდ ერთი ნაჭერი მიწა იშოვოს სხვაგან.

ამ საგნის შესახებ ჩვენი პრესსა სცდილობდა ასე თუ ისე ხმა ამოეღო, ყველასათვის შეეჩივლნა ჩვენის ხალხის უმწეო მდგომარეობა. და არც შეეძლო პრესსას ამ საჭირ-ბოროტო კითხვისათვის გვერდი აექცია. მაგრამ მაგარი ის გახლავსთ, რომ თავი და თავი დაგვავიწყდა და საქმე თუ უმთავრესად არა, მეტ წილად მაინც ამ დაუდევრობით გავაფუჭეთ. მარჯვე დრო ხელიდან გავუშვით... ადვილი სათქმელი გახლავთ, ამა და ამ ადგილას თავისუფალი მიწებია და, ვისაც მამული არა გყოფნით, იქ გადასახლდითო. ჩვენს გლეხს იმ დროს (და ახლაც) ჩიჩინი და ხელმძღვანელი სჭიროდა, რომ კარგად გაეგო თავის მრჩევლის სიტყვა; საჭირო იყო, რჩევისა და დარიგებისათვის აქტიური დახმარებაც ზედ დაგვერთო, განგვემარტა სიტყვიერად პირობები ახალ ადგილებისა, ცნობები, თუ რა დაბრკოლების ძლევა მოელოდათ, ან სახარბიელო რა დახვდებოდათ.

ამაზე წინადაც დაიბეჭდა „ივერია“-ში ამ საგნის შესახებ ფრიად საყურადღებო წერილი ჩვენის პატივცემულის პედაგოგის ბ-ნ იაკ. გოგებაშვილისა, წერილი გამსჭვალული ჩვენის ქვეყნისა და ერის სიყვარულით. პატივცემული ავტორი, ითვალისწინებს რა ერთის მხრით ჩვენის ხალხის უმამულობას და, მეორის მხრით, მისს მოქანცვას, როგორც შედეგს ხანგრძლივის სიცოცხლისას, ფრიად საფუძვლიანს რჩევას იძლევა უმამულო გლეხი გადასახლდეს საქართველოს იმ კუთხეში, სადაც მიწა შედარებით ჭარბად არის და დაუმოყვრდეს იქაურ ქართველობას, რათა საზრდოც მოიპოვოს და სისხლიც განიახლოს. ასეთ ადგილებად, სადაც გადასახლება შეიძლება, იგივე ავტორი ასახელებს სოხუმისა და ართვინის ოლქებს. ერთის შეხედვით, საქმეს მეტად ადვილი პირი უჩანს და თითქოს ჩვენს გლეხს აყრისა და უკეთეს ადგილებზე ფეხის მოკიდების მეტი არა რჩებოდეს რა. მაგრამ უბედურებაც ის გახლავთ, რომ ბედნიერება არც თუ სულ ადვილი მოსაპოვებელია. პატივცემულის ავტორის გულწრფელს სურვილსა და რჩევას ჩვენ ჩვენის მხრით გვსურს ჩვენი პირადი გამოცდილებაც დავურთოთ, რომ წამოყენებულ კითხვას უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ.

ართვინის ოლქში მდებარე თავისუფალ მიწების შესახებ ლაპარაკს ვერა ვკისრულობთ, რადგან, სამწუხაროდ, იქაურს პირობებს ნაკლებად ვიცნობთ. მაგრამ რაც შეეხება აფხაზეთს ან სოხუმის ოლქის ნაწილს, როგორც ადგილობრივი მკვიდრი, ვბედავთ მკითხველს, მოკლედაც არის, გამოვესაუბროთ.

აფხაზეთიდან ამ ორმოცის წლის განმავლობაში ორჯელ აიყარნენ ადგილობრივნი მკვიდრნი, თავის ბედის მოძღურავნი, რათა ერთ-მორწმუნე ოსმალოთა სახელმწიფოში მოეპოვათ სულიერი სიმშვიდე. ერთი იყო 1863—4 წლებში, როცა მთელი ერთი ხეობა, დალისა, წებელიდან მოყოლებული ვიდრე სვანეთის საზღვრამდე, 30—40 ვერსის მანძილზე, სულ დაიცალა. ეს ის დრო იყო, როცა აფხაზეთის მთავარი თ. მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე რუსეთში იქმნა გაგზავნილი და აფხაზეთის ტახტი გაუქმებულ. დალის ხეობის ერისთავი ბათალბეის შვილი ალმასხით მარშანია რუსის რაზმს შეება კოდორზე, ბაგადას ხიდთან. რუსის რაზმი ძალზე დაათხელეს აფხაზებმა, მაგრამ ბოლოს ძლეულნი მაინც უკანასკნელნი იქმნენ და ახალს მთავრობას უნდა დამორჩილებოდნენ. თუ კი თავისუფლება არ გვექნება, არც ცხოვრება გვსურს აქაო და, როგორცა ვსთქვით, მთელის ხეობიდან ხალხი ოსმალეთში გაიკრიბა. მეორეჯერ რუს-ოსმალოს ომის დროს აიყარნენ მკვიდრნი აფხაზეთიდან. ომის შემდეგ მცირედი ნაწილი-ღა დაბრუნდა აფხაზებისა, 100,000 სულიდან დღეს 50,000 ძლივას-ღა არის. ნაომევს დაბრუნებულ აფხაზებს სამოსახლოდ მიუჩინეს ბზიფუ, ანუ აფხაზეთის დასავლეთი ნაწილი სოფ. ფსირცხამდე. ხოლო უმეტესი ნაწილი აფხაზეთისა ფსირცხიდან (სადაც ახლა რუსის ბერების მონასტერია) მდინარე კოდორამდე თავისუფლად დარჩა, უმოსახლოდ.

მთავრობამ ნაომევსვე დიდ-ძალი ადგილი დაურიგა აფხაზეთში ნამსახურ მღვდლებს (თითოს 30 დესეტინა), დიაკვნებს, მასწავლებლებს, სამოქალაქო უწყების მოხელეთ და განსაკუთრებით სამხედრო პირთ, რომელნიც კავკასიის რომელსამე ნაწილში ომის დროს გარჯილან. ამ გვარად სამხედროთ ერგოთ თითქმის ნახევარის წებელისა და მთელი დალის ხეობა მდინარე კოდორის აყოლებაზე. უმაღლესი ბრძანება ამ მამულების დარიგებისა ჯერ ისევ 1874 წელს გამოიცა. დალის ხეობაში ამ ნაირად გაიცა 8,658 დესეტინა, თვალი აფხაზეთისა, ყოველ-გვარ საშენ ტყით (ნაძვი, ფიჭვი, მუხა, წაბლი, წიფელა და სხ.) სავსე. ერთი ნაწილი ქართველებსაც ერგოთ. ასეთნი ბედნიერნი იყვნენ: პოლკოვნიკი თავ. ნაკაშიძე (განჯის გუბერნატორად ყოფილი) (300 დესეტ.), თავ. ბებუთაშვილი (301 დ.), დეკანოზი მაჭავარიანი (401 დ.), თავ. ივ. ბარათაშვილი (300 დ.), მომბელი (?) (300 დ.), თავ. ჯორჯაძე (300 დ.) და ვასილ სარაჯ—ლი (1,000 დ.).

გლეხ-კაცობა აქაურ სახელმწიფო ადგილებს მოაწვა ოთხმოციან წლებში. პირველად მოვიდნენ მოლდაველნი, მერე რუსნი, ბერძენნი და 1883 წელს მეგრელნი და ესტონელნი. ეს გადმოსახლება დღესაც არ შეწყვეტილა, რადგან თავისუფალი სახელმწიფო მიწები დღესაც არის. მხოლოდ ამ ადგილებზე დასახლების მსურველთა უფლებანი განსაზღვრულია. თუ პირველში ყველას პირ-აქეთ ეხვეწებოდნენ გადმოსახლდითო (მაგ. ესტონელებს, გადმოსახლებულთ იმ აზრით, რომ მეზობელთათვის „უმაღლესი“ კულტურა ესწავლებინათ), დღეს გარდა რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებთა, სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის აფხაზეთის კარი დახშულია. ამ გვარად გაშენდნენ სოფლები: 7—რუსთა, 2—ესტონელთა, ხუთი ბერძენთა და 10—მეგრელთა. 1896 წელს ზემო ჩამოთვლილ ეროვნებათა ხალხს მიემატა ოსმალეთიდან გამოქცეულნი სომხები, რომელნიც მოიჯარადრენი არიან და მხოლოდ თუთუნის მოყვანას მისდევენ. 1896 წელს, თანახმად სოხუმის ოლქის უფროსის ანგარიშისა, აფხაზეთის მცხოვრებთა რიცხვი წარმოგვიდგენდა შემდეგს სურათს: (ანგარიშში შედის სამურზაყანოც, როგორც ნაწილი სოხუმის ოლქისა, სამურზაყანოთურთ სულ 106, 719 სულია, თვით სამურზაყანოელნი შეადგენენ 35, 97% მთელის რიცხვისას, მაშასადამე დანარჩენნი მხოლოდ აფხაზეთში არიან დასახლებულნი):

აფხაზები—30, 37%

მეგრელები—23, 83%

სომხები—4%

ბერძნები—2, 90%

რუსები—1, 57%

ესტები—0, 81%

მოლდაველნი—0, 17%

ბოლგარნი—0, 11%

ოსმალნი—0, 18%

პოლონელნი—0, 01%

სპარსნი—0, 03%

რუსინნი—0, 02%

(გაგრძელება იქნება)

დღიური

XI

22 ივნისი

გულო ჩემო, ნუ შესწყვეტ ცემას! გონებავ ჩემო, ნუ დაჩლუნგდები!

გასწით, ფიქრებო, აფრინდით მაღლა: ნურც ელვა-ჭექამ, ნურც ქარიშხალმა, ნურც წვიმამ, თოვლმა, სისხლის შემკვრელმა ყინვამ, ნურცა ცეცხლსავით მწვავემ სიცხემ ნუ შეაჩეროს ცისაკენ ლტოლვა, თქვენი ღმერთამდის ამაფრენა!..

საშინელება შეგიპყრობს, თავო! აკანკალდები ზარ-დაცემული, სისხლის ცრემლები წარმოგდინდება თვალებისაგან, რა დაინახავ... მაგრამ არ შედრკე, თვალნი გაშალე, სასოება არ წარიკვეთო და მხნე იმედით წინ გაიხედე, სად შენ იხილავ ბედნიერსა ადამიანსა!...

გაგიჟებული დაიწყებ რბენას; მარტო იქნები, არვინ-რას გეტყვის. იხილავ სხვათა ბედნიერებას, გაიგონებ მათსა სიტყვასა, თვალთ წინ გექნება მათი მამული. მწარედ დაჯდები ბაბილონისა მდინარის პირას... ნუღარ იტირებ, ნუ მოსთქვამ აგრე: შენც გაიგონებ დედისა ხმასა!..

მოგატყვილებენ ადამიანნი, არ დაგინდობენ, დაგცინებენ, თუ რამ გაქვს ნაკლი; შენსა ტკივილსა, შენს მწუხარებას არვინ

შეხედავს; უცხო იქნები ყველასათვის. მიმოიხედავ აქეთ-იქითა, დაიწყებ ძებნას, დაიწყებ ძახილს, ვინმე ხმა მოგცეს ნუგეშის ცემის—ნუ დაეცემი მაშინაც სულით: ილოდე, მოვა მეგობარი, ხელს გამოგიწვდენს; შენთან იცინებს, შენთან იტირებს, შენში იხილავს მხოლოდ სიმართლეს და თვითონც გეტყვის მარტო სიმართლეს. ძალები თქვენნი გაორკეცდება და ძლიერთ გულით, ძლიერთა სულით არ-რა შეგირყევთ წმინდა იმედებს.

სიკეთევ, დასძლევ შენ ყველაფერსა! ძმობავ, დაიჭერ ცხოვრების ტახტსა!..

გულო ჩემო, ნუ შესწყვეტ ცემას! გონებავ ჩემო, ნუ დაჩლუნგდები! სულო ჩემო, ცისკენ ილტოდე მუდამ დღე-ღამე!...

ზიჹუვა.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პალატამ მალე უნდა გაარჩიოს სასულიერო კონგრეგაციების თხოვნები იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ საფრანგეთში დარჩენისა. როგორც ვიცით, ბევრმა მათგანმა პირდაპირ უარჰყო თავისი ქვეყნის კანონი, არ ინდომა დამორჩილება და უცხოეთში გადასახლდა. აი კლერიკალების სისტემა. სხვებს უქადაგებენ, სამშობლოს კანონს უნდა ემორჩილებოდეთო და თითონ კი ეურჩებიან; სხვებს უქადაგებენ, პატრიოტობა გაკლიათ, სამშობლო არ გიყვართო და თითონ კი ამ სამშობლოს სტოვებენ და მიდიან. კანონი თხოულობს, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ კონგრეგაციის შესახებ, სასურველია მისი დატოვება, თუ არა. მეტ ნაწილად მუნიციპალიტეტებმა არა' სასარგებლო აზრი გამოსთქვეს კონგრეგაციების შესახებ, მეტადრე იმ ქალაქებში, სადაც საბჭოებში უმეტესობა სოციალისტთა, ან რადიკალთაგან შესდგება. უკანასკნელი კრება მინისტრთა საბჭოსი ზემოხსენებულ თხოვნებს შეეხებოდა. ხოლო, რადგან ასსოციაცია შესახებ კანონში ზოგიერთი უთანხმოებაა და ამის გამო სასამართლოები სხვა-და-სხვა გვარად სწყვეტდენ ანალოგიურ საქმეებს, მინისტრთა საბჭომ დაადგინა, მოუცადოს საკასაციო სამსჯავროს გარდაწყვეტილებას, რომელსაც გასარჩევად აქვს წარდგენილი ეს საქმეები. იმავე დროს იუსტიციის მინისტრს ვალეს დაავალეს, სთხოვოს საკასაციო სამსჯავროს თავმჯდომარეს დააშუროს საქმეთა გარჩევა.

ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ კომბის განკარგულებით ათ მღვდელს ჯამაგირი დაუჭირეს საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების გამო. რასაკვირველია, ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკათ რეაქციონერებს და დეპუტატმა გეირომ, (მღვდელია), აცნობა მინისტრ-პრეზიდენტს, შეკითხვას ვაპირებ დასჯილი მღვდლების შესახებო. ეს რომ გაიგო, რადიკალმა ლაკომბმა თავის მხრივ შემდეგის წერილით მიჰმართა მინისტრთა თავმჯდომარეს: აბბატი გეირო შეკითხვას აპირებს დისციპლინარულ ზომების შესახებ, რომელნიც სამინისტრომ მიიღო ზოგიერთ მღვდელის წინააღმდეგ. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მისს ინტერპელაციასთან ერთად მე წარმოვადგენ წინადადებას, რომ დაინიშნოს საპარლამენტო კომისია სასულიერო წოდების არჩევნებში გარევის გამოსაკვლევად. მე ვფიქრობ, რომ ხალხისთვის, და პარლამენტისთვის საინტერესო იქნება გაიცნოს, საზოგადო გამოკვლევის საშუალებით, მთელი ის ფაქტები, რომელშიაც გამოიხატება სასულიერო წოდების უკანონო გარევა საარჩევნო ბრძოლაში.

შვეიცარია. ბერნის ქუჩებში დიდი უწესოება მოხდა. ბერნის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ფეტტერი, დაესწრო ნიურენბერგის გერმანულ მუზეუმის იუბილეზე და სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სხვათა შორის ასეთი ფრაზები მოიპოვება: „შვეიცარია გერმანიის პროვინციაა“, „ჩვენ გერმანელები ვართ და გერმანელებად დავრჩებით“. ამ სიტყვამ დიდი აყრ-ხაური გამოიწვია შვეიცარიაში, მეტადრე რომანულ შვეიცარიაში. როდესაც ფეტტერი ბერნში დაბრუნდა, სტუდენტებმა მანიფესტაცია მოახდინეს მის წინააღმდეგ. საქმეში პოლიცია ჩაერია, მაგრამ მის მაგიერ, რომ სტუდენტები გაეფანტა, ყველა გასავალი კარები დაუკეტა და ხმალ-ამოღებული ეცა მათ. ზოგიერთი სტუდენტი და რამდენიმე გარეშე მაყურებელი დასჭრეს. ორი ჟურნალისტი, რომელთაც პროტესტი გამოაცხადეს ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ, დაატუსაღეს. ქალაქში ყველა მეტად აღელვა ამ ამბავმა. საქალაქო საბჭოს სოციალისტთა ჯგუფმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შეკრება. 400 სტუდენტმა მიტინგი გამართა პოლიციის ძალმომრეობის წინააღმდეგ და მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ფეტტერის სიტყვას. მათ მთელი ქალაქი გაიარეს პატრიოტულის სიმღერების გალობით. ამ ხელად პოლიცია აღარ ჩარეულა.

ჩინეთი. აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ იქცევიან მისიონერები ჩინეთში. ამერიკელი მისიონერი კროფფორდი და გუდსონი ადგილობრივ მთავრობას, შანტუნგში, გზის ფულსა სთხოვენ, ჩინეთში რომ არეულობა იყო, იძულებულნი ვიყავით ამერიკაში წავსულიყავითო. ამერიკის ელჩად ნამყოფი სკვაირი თავის წერილში, რომელსაც იგი სახელმწიფო დეპარტამენტს სწერს, მეტად უჩივის მისიონერებს; დადიან მთელ ჩინეთში, თან დაჰყავთ სალდათები და ხალხს ფულსა სტყუებენ იმ ზიანის ასანაზღაუროდ, რომელიც ქრისტიანებს მოუვიდათო. მისიონერებს სასტიკად უნდა აეკრძალოს ადგილობრივ ქრისტიანების საქმეში გარევა და ოფიციალურად რაიმე საქმის დაჭერა ადგილობრივ მთავრობასთანო.

სერბია. ერთი სერბიელი გაზეთი შემდეგს მოგვითხრობს: ჩვენი რედაქციის მიერ შეკრებილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ფინანსური მდგომარეობა საკოროლოსი ისე ცუდია, რომ კატასტროფა აუცილებელია და მისი აშორება ყოვლად შეუძლებელიაო. მთელი წლების განმავლობაში სერბია სულ ამ დაღუპვის გზას ადგა და ახლა ამ გზის ბოლოს მიაღწიაო. ყოველი საშუალება იხმარეს, ახლა არავითარი იმედი აღარაა. მთელ მხარეს მძიმე ეკონომიური კრიზისი უხუთავს სულსა. წელს დიდის გაჭირვებით თუ მოჰკრეფენ ერთ ნაწილს ბიუჯეტში აღნიშნულ შემოსავლისას. შემდეგ წლებში კი, შეიძლება დაბეჯითებით ვსთქვათ, ამასაც ვეღარ მოახერხებენ. გლეხებს საშუალება არა აქვთ, რომ დაამუშავონ თავისი მიწები, იმ მიზეზის გამო, რომ რაც მათ საქონელი ჰყავდათ, სახელმწიფო ვალის გარდასახადში გაეყიდათ. დარჩათ მხოლოდ ხბოები და მათაც ეს დღე მოელით. სტატისტიკური ციფრები გვიჩვენებენ, რომ გლეხებში მეტად მცირე ნაწილი იხდის გადასახადს მთავრობის ძალდაუტანებლად. ეს ციფრები ადამიანს შიშს მოჰგვრის. მათ სიმართლეს ვერავინ გააბათილებს, ვერც უარჰყოფს. სერბიამ დიდი ხანია მიაღწია იმ მდგომარეობას, რომელშიაც ოდესმე იტალია იყო და იძულებული შეიქმნა ძალებზედაც კი შემოეღო სახელმწიფო გადასახადი.

ახალი ამბავი

◆ **ბაქოდან გვწერენ**: 18 ივნისს ღამის მატარებლით ბაქოში ჩამოვიდნენ პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი და იმისი თანამოგზაურნი. სტუდენტები დაბინავდნენ აქაურს გიმნაზიის სადგომში. თვით პროფესორი ჩამოხტა ბ-ნ ი. ელიაშვილთან.

19-ს დილით ექსკურსანტები გაემგზავრნენ შავ ქალაქში, სადაც თითქმის მთელი დღე მოანდომეს ნობელის ნავთის ქარხნების დათვალიერებას. ქარხნების გამგემ დიდის პატივისცემით მიიღო სტუმრები და სადილადაც მიიწვია.

20-ს მოგზაურები აპირებენ ბ-ნ თაღიევის ქარხნის ნახვას; შემდეგ დაათვალიერებენ ბ-ნ ზუბალაშვილის ნავთის მადნებს.

21-ს აქაური ქართველი ინტელიგენცია აპირებს ნადიმი გაუმართოს ძვირფასს სტუმრებს აქაურ კლუბის საზაფხულო დარბაზში. მეორე დღეს მოგზაურები კავკავისაკენ წავლენ.

◆ „პრავოსლ. ვოსტოკ“-ის რედაქცია გვატყობინებს, რომ ამ ჟურნალის გამოცემა რედაქციამ **დროებით შეაჩერა.** ხელის მომწერთ ჟურნალს შემდეგ გაუგზავნიან და ამგვარად დააკმაყოფილებენ.

◆ **პეტერბურგიდან გვწერენ**: მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1901 წელს ადმინისტრაციას არ უნდოდა რწმუნებულთა მიერ არჩეული ოზურგეთის ქალაქის მოურავი დაემტკიცებინა. ამ აზრით საგუბერნიო ადმინისტრაციამ პირველ ხანს ფორმალურ მიზეზებს მიჰმართა, მაგრამ ყველა მიზეზი გაუქმებულ იქმნა კანონის ახსნისა და სენატის განმარტებით. ბოლოს, ყოფილმა გუბერნატორმა, ბ-ნმა გერშელმანმა თავის უფლებით არ დაამტკიცა არჩეული კაცი; ამასთან მოითხოვა რწმუნებულებისაგან, ახალი არჩევანი მოეხდინათ.

რადგანაც მოკლე ხნის განმავლობაში სასურველ კანდიდატს ვერ მოსძებნიდნენ, რწმუნებულებმა შეადგინეს ოქმი, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ამ ჟამად სახეში არა გვყავს სხვა კაცი და ამიტომ დრო მოგვეცით კანდიდატის მოსაძებნადაო. ეს ოქმი მეორე არჩევანად ჩასთვალეს და გუბერნატორმა თავის უფლებით დანიშნა ქალაქის მოურავი.

რწმუნებულებმა აცნობეს გუბერნატორს, რომ მეორე არჩევანი არ მომხდარაო, მაგრამ გერშელმანმა უყურადღებოდ დასტოვა ეს განცხადება. მაშინ რწმუნებულთ თავიანთ თანამდებობას თავი დაანებეს და უმართებულესს სენატში საჩივარი გაგზავნეს უფლების წართმევისა და მეორე არჩევნებისათვის დროს არ მიცემისათვის.

სენატს წარსულ თვეში გაურჩევია ეს საჩივარი და სამართლიანად უცვნია ოზურგეთელების ის თხოვნა, რომ მათ დრო მისცემოდათ მოსაფიქრებლად და კანდიდატის მოსაძებნად. მაგრამ რწმუნებულთა ოქმი, რომელშიაც ეს სურვილი იყო გამოთქმული, ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ წარუდგენია სენატისათვის, ამიტომ სენატს გადაუწყვეტია, მოითხოვოს ხსენებული ოქმი.

◆ ერევნის ვაჟთა გიმნაზია წელს, სხვათა შორის, დაასრულა ერთმა ქართველმა, გვარად ლეჟავამ. ამავე გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად **დაზამთავრებელი ეგზამენები დაიჭირეს** ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში სწავლა დასრულებულებმა: გ. ბერიძემ, ივ. ჩიჯავაძემ, ნ. ცინცაძემ, ღამბაშიძემ და თავნაკაშიძემ.

◆ ბ-ნთ ივ. პ. როსტომაშვილისა, ა. ა. დავითაშვილისა, ი. ი. ბალუაშვილისა, დ. ზ. ტატიშვილისა და კ. დ. მაღალაშვილის მეთაურობით, ტფილისში დაარსდა **„ტფილის-მცხეთის ამხანაგობა“**. როგორც ხელ-შეკრულობიდანა სჩანს, ამხანაგობას აზრადა აქვს ტფილისსა და მცხეთაში შეიძინოს წევრებისათვის ადგილები და სახლები, დაეხმაროს წევრებს მოედნებისა, ხიდებისა, ბაღებისა და წყლის მილების გაყვანაში და სხვა.

ამხანაგობის თანხა ჯერ-ჯერობით 5,000 მანეთია. შემდეგ იგი, მოთხოვნილებისა დაგვარად, გადიდებული იქმნება. თანხა გაყოფილია 50 პაიდ, ასე რომ თითო პაი 100 მან. ღირება. ამ ფულის წარდგენა წევრებს შეუძლიანთ ან ერთად და ან ნაწილ-ნაწილად. ამხანაგობა დაიწყებს მოქმედებას თანხის შედგენისათანავე. როდესაც ამხანაგობა შეიძენს ადგილს ტფილისსა, ან მცხეთაში და მოაწყობს სამოსახლოდ, წევრთა შორის კენჭსა ჰყრიან და ვისაც, შეხვდება, ადგილი იმას დარჩება; მხოლოდ შემდეგ მან იმდენი უნდა შეიტანოს, რაც ადგილი ღირს.

ამხანაგობის საქმეებს განაგებს საზოგადო კრება და გამგეობა. გამგეობა ექვსის კაცისაგან შესდგება.

◆ შორაპნის მაზრის სოფ. ლაშედან გვწერენ: 18-ს ივნისს, ბოროტ-გამზრახველებმა ს. ლაშის ხვთის-მშობლის **ეკლესია გაძარცვეს.** წაიღეს მხოლოდ 22-ი მანეთი, სხვა ვერა უნახავთ რა, რადგანაც ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა ნივთები წირვის შემდეგ სტაროსტას შინ მიაქვს ხოლმე. ქურდების ვინაობა ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ.

◆ კავკასიის უმაღლესს მთავრობას, როგორც შევიტყეთ, შუამდგომლობა აღუძრავს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შემწეობა აღმოუჩინოს** იმ ვალის გასასტუმრებლად, რომელიც დაედო კავკასიის გამოფენის გამართვის გამო.

◆ დღეს, 23 ივნისს, საღამოს მატარებლით ბალაჯარაზე რუსეთს მიემგზავრებიან ტფილისის 1-ლ და მე-3 **გიმნაზიების და რეალურ** სასწავლებლის მოსწავლენი საექსკურსიოდ, პირველ გიმნაზიის ინსპექტორის პ. ა. კუმსკოვის და რეალურ სასწავლებლის მასწავლებლის ი. ს. ღულაძის ხელმძღვანელობით.

პირველად მივლენ მოსკოვს, დაათვალიერებენ იქაურს ღირს-შესანიშნავ ადგილებს და იქიდან წავლენ ტროიცკის მონასტერში; აქედან ქალაქ იაროსლავში, მერე ქალაქ კოსტრომას და იქიდან მდინარე ვოლგათი სამშობლოს დაბრუნდებიან.

ექსკურსიას დაახლოვებით სამ კვირამდე მოუნდებიან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიანდო საბეითალო გამგეობას გამოიკვლიოს საქმე **ხორცის ექსპორტისა** საზღვარ-გარედ და გამოარკვიოს პირობანი საქონლის მოვლა-მოშენებისა კავკასიაში.

◆ გუშინ, 22 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ გაჰგზავნა მოხსენება შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელსაც სთხოვს შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ტფილისისა და ნავთლუღის სადგურებზე მოტანილ თუ გასაგზავნ საქონელზე ქალაქის სასარგებლოდ **გარდასახადის დაწესების შესახებ.** ეს შუამდგომლობა ქალაქმა 1897 წელს აღძრა.

◆ 8 ივნისს დაარსებულ ტფილისის **საადრესო სტოლისათვის** დღემდე 200 კაცს მიუმართავს სხვა-და-სხვა საქმისათვის. გაყიდულა 700,000 საადრესო ფურცელი, რაშიაც აუღიათ 7,000 მანეთი. საადრესო სტოლი მოთავსებულია მეტად მივარდნილ და მოუხერხებელ ადგილას მოსკოვის ქუჩაზე. კარგი იქნება, უფრო სხვა მისახვედრ ადგილას გადაიტანონ იგი.

◆ სამკურნალო დეპარტამენტს, როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, დაუვალებია კავკასიის სამკურნალო გამგეობათათვის წარუდგინონ დეპარტამენტს ცნობები **ყვავილის** გავრცელებისა და აცრის შესახებ.

◆ **ნატახტარის წყაროების** გამომკვლევმა კომისიამ შეადგინა მოხსენება. კომისიის აზრით, ნატახტარის წყაროების წყალი სასმელად ძალიან კარგია.

◆ **რკინის გზების მოსამსახურეთა** იმ რიცხვს, რომელთა ჯილდოდანაც არ გამოირიცხება 10% საინვალიდო თანხის სასარგებლოდ, კიდევ დაუმატეს: ვაგონების გადამბმელები, ლოკომოტივების გამცილებელნი, მესრენი და ნიშნების მაჩვენებელნი.

◆ პარასკევს, 21 ივნისს, მოხდა ტფილისის ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც მოწვეულ იქმნენ აგრეთვე უსახელო საზოგადოების წარმომადგენელნი რიდზინსკი და რაგოლერი. ამ სხდომაზედ საბოლოვოდ უნდა შეთანხმებულიყვნენ **ტრამვაის ხელშეკრულობის გამო.** უმთავრესი სალაპარაკო ის იყო, თუ როგორის ტიპის ვაგონები უნდა გაიმართოს. უსახელო საზოგადოების წარმომადგენლებმა წარუდგინეს სხდომას პარიზისა, ბერლინისა, ვენისა და ლონდონის ტრამვაების ვაგონების ტიპი და სთხოვეს გამგეობას, ერთ-ერთი ამათგანი აერჩია ტფილისის ტრამვაისათვის. რადგანაც საბოლოვოდ ვერ შეთანხმდნენ, სხდომა გადასდეს 22 ივნისისათვის.

◆ სამშაბათს, 25 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია **შეერთებული სხდომა** ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელზედაც უნდა განიხილონ: 1) კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შენიშვნები ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის რევიზიის მოხდენის გამო; 2) მოხსენება კომისიისა ტფილისში 4 კლასიან სასწავლებლის დაარსების შესახებ და 3) ტფილისის დედათა ორს გიმნაზიაში ქალაქის ხარჯით 10 სტიპენდიის დაარსების საქმე.

◆ ხვალ, 24 ივნისისათვის, დანიშნულია ტფილისის **ქალაქის საბჭოს კრება** 23 საქმის განსახილველად. წინა კრება, როგორც ვუწყით, არ შესდგა.

◆ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულ მევენახე-მეღვინეობის კომიტეტს უკვე შეუმუშავებია **ღვინის ფალსიფიკაციის** წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი. კომიტეტის განყოფილება, სხვათა შორის, ტფილისშიაც იქნება. რადგანაც შემუშავებული საშუალებანი განყოფილებებსაც უნდა გაეგზავნოთ თავიანთ აზრის გამოსათქმელად, კომიტეტი ამ დღებ-

ში შეეკითხა ტფილისის გუბერნატორს, შეგვატყობინეთ, წინანდელ მოწერილობის თანახმად, დაარსდა თუ არა ტფილისში კომიტეტის განყოფილება, თუ არა, გთხოვთ ეცადოთ მალე დაარსდესო.

◆ დღეიდან ქალაქის **ხორცის დუქანში** ცხვრის ხორციც გაიყიდება დაწესებულის ნიხრით. აქამდე მხოლოდ ძროხის ხორცი იყიდებოდა.

◆ ტფილისის **გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად** ოქმი ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომისა და ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

◆ სამთო დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის სამთო გამგეობას ხელი შეუწყოს კერძო მწარმოებელთ **მთა-მადნების გამოკვლევა-დამუშავების** დროს. ამისათვის მწარმოებელთ სახელმწიფო მიწებიც უნდა დაეთმოთ.

◆ მიწად-მოქმედების **მინისტრის ამხანაგი ნცევინი**, რომელიც ამ ზაფხულს ამიერ-კავკასიაში ჩამოვა, სხვათა-შორის დაათვალიერებს საცდელ ბაღებს სოჭასა და სოხუმში, აგრეთვე საუფლისწულო და სხვათა მამულებს ბათუმის მახლობლად.

◆ ორშაბათს, 24 ივნისს, გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევში მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი ხავსკი ხაზინასა და თავ. ერისთავებს შორის **სადავო მიწებისა** და ტყის შესახებ მოწმეების საკითხავად და თვით ადგილების დასათვალიერებლად.

◆ ტფილისის საბჭოს **ხმოსანთა** არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ იმ სახლის პატრონთაც, რომელნიც დარჩენილ დასაფასებელ გადასახადს წარადგენენ ამა ივნისის 25-მდე. შემდეგ კი გარდასახადის შემტანთ აღარ მიეცემათ ნება.

◆ ხაშურიდან გვწერენ: 16 და 17 ივნისს აქ რუსული წარმოდგენები გამართეს. ხალხი დიდის სიამოვნებით დაესწრო ორსავე წარმოდგენას, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად ჩაიარა. მოთამაშენი სულ არ მომზადებულიყვნენ: როლები თითქმის არავინ იცოდა.

◆ ეს 16 წელიწადი იქნება, რაც ხაზინა ედავება დუშეთის მაზრის მცხოვრებს აზ. გიგო ზანდუკელს 3000 დესიატინა ტყეს. ტფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით, სამჯერ დაათვალიერეს ეს ადგილი, მაგრამ დღემდე საქმე ვერ გადასწყდა. ამ საქმეს პალატა ახლო მომავალში განიხილავს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელმაც 10 დღე ქ. გორში დაჰყო, 21 ივნის ტფილისს დაბრუნდა.

◆ გუშინ, 21 ივნისს, ღამე, გოლოვინის პროსპექტზე, ქაშვეთის საეკლესიო სახლში გაჰქურდეს ორი მაღაზია—ალშვანგისა და ხუდავერდიანისა. ქურდები სახლის სახურავზე ასულან; სახურავის ახდა ნდომებიათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, ამიტომ პატარა ფანჯარა გამოუმტვრევიათ და იქიდან ჩამძვრალან. ალშვანგის მაღაზიიდან წაუღიათ 57 მანეთი, ხუდავერდიანცის ტანისამოსის მაღაზიაში კასსა გაუტეხიათ, მაგრამ იქ ვერაფერი უნახავთ.

◆ ახალ-ციხიდან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ რწმუნებულთა კრებამ დაადგინა დაუკლოს ხარჯის ნიხრს.

◆ სადგურ ნავაგიდან იტყობინებიან, რომ 21 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა წყლის საქაჩავ შენობას; სამაშინო განყოფილება დაიწვა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

◆ სადგურ დალ-მამეტლიდან იტყობინებიან, რომ 21 ივნისს სახალხო მატარებელში უეცრივ გარდაიცვალა მოხელის აველოვის ბავშვი.

◆ 21 ივნისს, ღამე, გაჰქურდეს ელისაბედის ქუჩაზე, ავაქოვის სახლში მცხოვრები იაგულოვი. ქურდებს წაუღიათ 700 მანეთის ნივთები.

◆ 20 ივნისს პოლიციის მე-7 ნაწილში ცეცხლი გაჩენია კაპიტან ხანაგუროვის სახლს. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და მალევე ჩაუქრიათ.

◆ 21 ივნისს მტკვარში ბანაობის დროს დამრჩვალა ტფილისის მცხოვრები იბრაჰიმ მაჰმედოღლი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ამ ორის დღის წინად ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაჰქურდეს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი მ. ო. ჩინჩალაძე, რომელმაც წინა დღით ბანკიდან ჯილდო მიიღო: ამოაცალეს ყუთიდან 700 მანეთი. ბ-ნმა ჩინჩალაძემ ეჭვი მიიტანა თავის მსახურზედ, რომელიც დააპატიმრეს კიდეც.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორმა ი. ი. ოცხელმა დაათვალიერა სათავად-აზნაურო სკოლის საკუთარ შენობისათვის საჭირო ადგილი და ძლიერ მოიწონა იგი.

◆ ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „კოლხიდა“-ს ახალმა გამგეობამ წელს დიდი მხნეობა გამოიჩინა: გამგეობამ უკვე 21,000 მანეთის პარკი იყიდა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად პეტერბურგში დაიბეჭდა ე. დემენტიევის საინტერესო წიგნი. ამ წიგნში ამოღებულია ცნობები საქარხნო ინსპექტორების ანგარიშებიდან ქარხნებისა და მუშების შესახებ. 1900 წელს ევროპის რუსეთისა და ბაქოს გუბერნიაში საქარხნო ინსპექტორებს ემორჩილებოდა 17,977 დაწესებულება, სადაც მსახურებდა 1,666,177 მუშა. ქარხნების საერთო რიცხვიდან სამი მეხუთედი წვრილი ქარხანა იყო. თითო 16-დან 50 მუშამდე შეიცავდა. ნახევარის წლის განმავლობაში ინსპექტორებს განუხილავთ 2,745 საჩივარი ქარხნების გამგეებისა მუშებზე. უმთავრესი მიზეზი საჩივრებისა მუშების მიერ თავიანთ ნებით მუშაობაზე ხელის აღება იყო. მუშების საჩივარი გამგეებზედ იმავე ხნის განმავლობაში იყო 9,863. აქედან 871 საჩივარი კორექტიური იყო. ჯარიმა, რომელიც მუშებსა ჰხდებოდათ, ემატებოდა განსაკუთრებულ თანხას. ეს თანხა მუშების საჭიროებაზედვე იხარჯება. 1900 წლის პირველ იანვარში საჯარიმო თანხა ყველა ქარხანაში ავიდა 2,408,802 მან. 4 კაპ. წლის ბოლოს 3,280,902 მ. აქედან წლის განმავლობაში დაიხარჯა 688,525 მან. 48 კ.

◆ რკინის გზების გამგეობებს შუამდგომლობა აღუძრავთ გზათა სამინისტროს წინაშე. ამ შუამდგომლობაში გამგეობანი თხოულობენ, ნება მიეცეთ საქველ-მოქმედო აზრით გადასახადი დაადონ იმათ, რომელნიც მატარებლის წასვლისას და მოსვლისას სადგურის ბაქანზე მოინდომებენ გასვლას ნაცნობ-ნათესავების გასაცილებლად ან დასახვედრად. ჰფიქრობენ, პირველ ხანს ეს ახალი გადასახადი შემოიღონ იმ სადგურებზე, სადაც უფრო მოძრაობაა. გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 1 და მე-2 კლასების დარბაზებში 16 კაპეიკს, ხოლო მე-3 კლასის დარბაზში 10 კაპეიკს.

◆ 27 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ახალი სავექსილო წესდება. გამოაქვეყნებენ წესდებას ამა ივნისის გასულს. ამავე დროს გამოქვეყნებული იქმნება ახალი კანონი უკანონოდ შობილ ბავშვთა შესახებ.

პრესსა

„ნოვ. ობოზრ.“-ს მოჰყავს „ხარკოვ. ვედომოსტ.“-იდან ამ გაზეთის თანამშრომლის შენიშვნები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ. სხვათა შორის ხსენებული თანამშრომელი სწერს, რომ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთ ძალიან უჭირს ჩაქვის მიდამოებში ცხოვრება.

თვით ადგილობრივი მკვიდრნი ვერ იგუებენ აქაურ ჰავას, რუსის გლეხები-კი, რომელნიც სიღარიბემ გადმოხვეწა ამ მდიდარ ქვეყანაში, სრულიად ვერ სძლებენ აქ. „აუტანელის მწუხარებით იგონებენ ისინი რუსეთს, სადაც ზაფხულობით გოლვაა, ტყეები იწვიან, პური არ მოდის, მაგრამ სამაგიეროდ ირგვლივ მშობლიური ყანებია, მშობლიური ჰავა და წყალი. „რუსის გლეხმა პური უნდა დათესოსო, ამბობენ გლეხები, აქ-კი ჩაი და ბაღი უნდა გააშენოო; შეუჩვეველნი ვართ და ციებ-ცხელებამაც შეგვაწუხა; სულ ვიფლიტებით“..

მართლაც, შიდა გუბერნიის გლეხისათვის აქ ყოველისფერი უცხოა: ჰავაც, ნიადაგიც, სამეურნეო დარგიც, ხვნა-თესვის წესიც. სამშობლო მხარე, რომელნიც მისთვის დედინაცვალი იყო, აქ სამოთხედ აგონდება და სულ იმის ფიქრშია, როდის ეღირსება უკანვე შიდა რუსეთში დაბრუნება.

აი რასა სწერს რუსი-ავტორი რუსულ გაზეთში! „ჩერნომ. ვესტნიკ.“-ს რომ ჰკითხოთ, გადმოსახლებულთა გაჭირვებული მდგომარეობა სულ „ადგილობრივ ინტელიგენტთა“ მოგონილი ტენდენციური სიცრუეაო...

⁂

რუსეთში ყველაფერი ძვირიაო, გადმოგვცემს „რუსკ. ვედომ.“-ში ბ-ნი ეკონომისტი. ის, რაც საზღვარ-გარედ გროშადა ფასობს, რუსეთში მანეთად იყიდება.

არსად დასავლეთ ევროპაში, სწერს ავტორი, მოქალაქე ისე ძვირად არა ჰყიდულობს ტანისამოსს, როგორც რუსეთში. შეუძლებელია რუსეთის ქვეშევრდომმა ტანისამოსი არ იყიდოს საზღვარ-გარედ, თუ კი როდისმე მოუხდა იქ ყოფნა. მე ვიცნობ ხელ-მოკლე კაცებს, რომელთაც სამსახურის გამო ხშირად უხდებათ საზღვარ-გარედ ყოფნა. ეს ხელ-მოკლე კაცნი დიდ ყაირათსა სწევენ იმით, რომ ყოველთვის გერმანიასა ან ავსტრიაში ნაყიდ ტანისამოსს ატარებენ.

ამერიკელს ერთი ფუთი ლურსმანი სულ 1 მანეთად უჯდება. რუსმა იმავე ლურსმანში მარტო შემოსატანი გადასახადი უნდა გაიღოს 3 მ. 20 კ., ასე რომ რუსს ერთ ფუთ ლურსმანში ეხარჯება 5-დან 8-მანეთამდე. საზოგადოდ რუსეთის ქვეშევრდომს ყველა ნივთსა და საქონელში ბევრად მეტი ეხარჯება, ვიდრე უცხო ქვეყნელს. ასე, მაგალითად:

ქაღალდში	690%
თამბაქოში	687%
ბამბეულში	357%
ჩაიში	304%
ტილოში	225%
სასოფ.-სამ.-მანქანებში .	259%

⁂

განჯიდან სწერენ „ივერია“-ს:

26 მაისს აქ ჩამობრძანდა საქართველოს ეგზარხოსი ალექსი. წირვის შემდეგ დაათვალიერა აქაური სასწავლებლები და, სხვათა შორის, საქალაქო სკოლაშიაც ბრძანდებოდა, სადაც მას მიეგება განჯის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი. დეკანოზმა მ. ვოსტორგოვმა, რომელიც თან ახლდა ეგზარხოსს, მიაქცია მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის ყურადღება ბ-ნ დირექტორზე და მოახსენა, რომ ეს ის დირექტორია, რომელმაც შეადგინა საუკეთესო სახელმძღვანელო რუსულის ენისა. მამა ვოსტროგოვმა იქვე სთხოვა ბ-ნს დირექტორს მის მიერ შედგენილი წიგნი, რათა განხილვის შემდეგ ეს სახელმძღვანელო შემოიღოს საეპარქიო სკოლებში სახმარებლად. ბ-ნ ლევიცკის წიგნი შედგენილია მუნჯურ მეთოდზე, რომლის ღირსება უკვე დაფასებულია პედაგოგიურ ლიტერატურაში.

ამას წინად ჩვენი გაზეთების კორესპონდენტები სრულიად სხვას იწერებოდნენ მ. ვასტოროგოვის კახეთში მოგზაურობისა და იქაურ სამრევლო სკოლების მის მიერ დათვალიერების შესახებ. ჩვენი აჩქარებული კორესპონდენტები სიხარულით იწერებოდნენ, ვითომ მამა ვოსტროგოვს ძალიან მოეწონა კახეთის სამრევლო სკოლებში სწავლის მეთოდი და განსაკუთრებით ქართულ ენის სწავლების საქმე...

დაბა-სოფლები

სოფ. საგარეჯო (ტფილისის მაზრა). სოფელ საგარეჯოსა და გიორგი-წმინდას მცხოვრებნი მეტად შევიწროვებულნი არიან თავზე ხელ აღებულ-ქურდ-ბაცაცებისაგან. ქურდები ისე თამამად დათარეშობენ, რომ დღისითაც არავის ერიდებიან; თუ მოახელებენ რამეს, იტაცებენ, მიჰყავთ სოფელ მუღანლოში და 60 ანუ 80 მანეთის საღირალ ცხენსა და ხარს ოთხ მანეთად და ხშირად ორ მანეთადაც ჰყიდიან. პატრონს, თუ მიაგნო საქონელს, იმ შემთხვევაში უბრუნებენ, მხოლოდ თუ ქურდების მიერ მიღებულ ფულს გადიხდის. მცხოვრებთ ისე გაუჭირდათ საქმე, რომ ყოველ დამ შიშში არიან. ამ დღეებში, მაგ., გლეხს კეგლიშვილს ერთი უღელი კამეჩი მოჰპარეს. გლეხს დღესაც ვერ უპოვნია მოპარული საქონელი. მეორე გლეხს ასტავიშვილს დღისით ცხენი მოჰპარეს.

ამ რამდენისამე დღის წინად ორი მუღანლოელი თათარი დაეცა თავს 20 მთიბავ კაცს. ერთი თათარი ბერდანკით ჩასაფრებულა, თოფი მთიბავებისათვის მიუშვერია და დაუძახნია, ფეხი არ გადადგათ, თორემ აქვე გაგათავებთო. შემდეგ უბრძანებია ამხანაგისათვის და შეძგომია ცარცვას; ისიც ჩამოჰყოლია და ზოგისათვის ფული გამოურთმევია, ზოგისთვის ქამარი, ცხენი და სხვა. შემდეგ შემსხდარან წართმეულ ცხენებზე და წასულან.

თიანეთი. ოც-და-ხუთს მაისს ეწვია სოფელ თიანეთს ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვასილ აბაშიძე. თიანეთის საზოგადოებამ ეს წინდაწინვე იცოდა და ამიტომ დიდის აღტაცებით მიეგება აბაშიძეს სოფელ საყარაულოში. დაახვედრეს იქ ეტლი და დიდის ამბით წამოიყვანეს თიანეთში.

თექვსმეტს ივნისს თიანეთის საზოგადოებამ გაუმართა აბაშიძეს ვახშამი, რომელსაც დაესწრო თიანეთის საზოგადოება წოდებისა და ეროვნების გაურჩევლად. სხვათა შორის, ვახშამზე მოწვეულნი იყვნენ თიანეთში საბანაკოდ მოსულ ჯარის ქართველი აფიცრობა.

საღამოს ათ საათზე დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდენ თიანეთის მაზრის ექიმი თავ. დისამიძე და სხვანი, მიიწვიეს აბაშიძე ვახშამზე სამისიონერო სკოლის დარბაზში, სადაც შეკრებილიყო მთელი საზოგადოება. უკრავდა სამხედრო მუსიკა. ამას გარდა დარბაზი ბენგალის ცეცხლით გაანათეს. თავმოყრილი საზოგადოება დიდის აღტაცებითა და ტაშის ცემით დაუხვდა გ. აბაშიძეს. ჯერ ევროპიული ცეკვა და ჩვენებური ლეკური გაიმართა, შემდეგ პირველ საათზე გაიშალა სუფრა, რომლის საპატიო ადგილი დაეთმო გ. აბაშიძეს. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა სუფრა, რომელსაც უსხდნენ მანდილოსანნი, აფიცრობა და სხვანი. თამადად აირჩიეს მაზრის უფროსი თავადი ჩოლოყაშვილი. სიმღერებს დასასრული არ ჰქონდა.

ვახშამზედ მრავალი სიტყვა წარმოითქვა. სხვათა შორის ილაპარაკეს: მღ. გ. გძელიშვილმა, ექიმმა თავ. დისამიძემ, თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა.

დასასრულ, ბ-ნმა ვასილ აბაშიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა თიანეთის საზოგადოებას.

ვახშამმა გათენებამდის გასტანა.

ამავე საღამოს თიანეთის საზოგადოებამ სთხოვა ვასილ აბაშიძეს, გამართოს ერთი წარმოდგენა ქართულ წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს სასარგებლოდ, რაზედაც ბ-ნი აბაშიძე დიდის სიამოვნებით დასთანხმდა. წარმოდგენა დანიშნეს ამ თვის ოცდა სამისათვის. წარმოდგენილი იქნება კომედია „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“. ამას გარდა დივერტისმენტი გაიმართება.

დამსწრე

საჭილავო (სენაკის მაზრა). 15 ივნისს ს. საჭილავოში მოვიდნენ სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწე და აბაშის ნაწილის ბოქაული იმ უთანხმოების გამოსაკვლევად, რომელიც ჩამოვარდა ილორის საზოგადოების მცხოვრებთა და აზნ. ასათიანებს შორის. ს. საჭილავოში მდ. ცხენისწყალზე არსებობს ბორანი, რომელიც ორ ადგილობრივ საზოგადოების საკუთრებას შეადგენს. ეს ბორანი უხსოვარ დროიდან არსებობს. პატრონნი, რასაკვირველია, უსასყიდლოდ სარგებლობენ ბორნით, ხოლო გარეშე მგზავრნი იხდიან ფულს. სამი წელიწადი იქნება, რაც კ. გ. და ი. ასათიანებმა იქვე, ძველ ბორნის გვერდზე, ახალი გამართეს, აშკარაა იმ განზრახვით, რომ საზოგადო ბორნისათვის მეტოქეობა გაეწიათ. მაგრამ, ნათქვამია, „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“: ბორანი მოაწყეს და მუშაობაც დაიწყეს, მაგრამ მგზავრნი არსაიდან ეტანებოდა, რადგან ყველამ ერთხელვე დაჩვეულ გზაზე სიარული არჩია. აი აქედან დაიწყო უთანხმოება: რაკი მგზავრი არავინ ამოჩნდა, აზნაურებმა დავა დაუწყეს საზოგადოებას; ადგილი ჩვენია და თქვენი ბორანი სხვა ადგილას გამართეთო. როდესაც საზოგადოება არ დასთანხმდა, ძალად დასაკუთრება მოინდომეს. ამის შემდეგ ასტყდა ალიაქოთი და დავიდარაბა.

ბოლოს საქმე მთავრობამდე მივიდა. საბედნიეროდ, 15 ივნისს მაზრის უფროსმა და ბოქაულმა გამოაკვლიეს სოფლელთა სიმართლე და ბორანი ძველსავე ადგილზედ დასტოვეს.

საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მაზრის უფროსს.

ჩვენს სოფელში არსებობს ერთად-ერთი სამრევლო საეკლესიო სკოლა, რომელიც ერთობ ცუდს მდგომარეობაშია. ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც არსებობს და ამ მცირე ხნის განმავლობაში სასწავლებელმა თხუთმეტამდე მასწავლებელი გამოიცვალა და რა მიზეზია, ღმერთმა უწყის. წელსაც ახალი მასწავლებელი დაგვინიშნეს, მაგრამ არ გაუვლია სამ-ოთხ თვეს, რომ ამ ახალმა მასწავლებელმაც გუდა-ნაბადი აიკიდა.

ამბობენ, მასწავლებლად ჰნიშნავენ ნინა ბალანჩივაძეს. საზოგადოება მოუთმენლად მოელის იმის დანიშნვას.

მიხაკო

სოფ. ხარაგოული. დიდი შვებაა ახლომახლო სოფლებისათვის სასოფლო სამკურნალო, ამას წინად ხარაგოულში დაარსებული. დღემდე სოფ. ამაშუკეთში ზესტაფონიდან ექიმის მოწვევა ჯდებოდა 25—30 მანეთად, ეხლა ხარაგაულიდამ 5—6 მანეთზედ მეტი არა ჯდება. ამას გარდა, ეჭვი არ არის, სამკურნალოს და ექიმის წყალობით თან-და-თან ძალა დაეკარგებათ სოფლის მკითხავებს. სამკურნალოს ექიმს აზრადა აქვს, მოშორებულ სოფლებში საფერშლო უბნები დამართოს და ფერშლები დანიშნოს.

აქეთ კარგი ამინდებია და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. ყაჩაღებმა შეგვაწუხეს, რომელნიც უწინდებურ შეუდგნენ თარეშს ზემო იმერეთში. 10 ივნისს, ღამე, ყაჩაღები შეუცვივდნენ სოფ. ამაშუკეთში ნ. ამაშუკელს. საბედნიეროდ, ყვირილზედ ხალხი შეიყარა და ყაჩაღები გაიქცნენ.

ამაშუკეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის საქალაქო არჩევნების გამო

ქუთაისის არჩევნების შედეგით უკმაყოფილოებმა საჩივარი მიართვეს ბ-ნ გუბერნატორს. საჩივარში აცხადებენ, რომ არჩევნები უკანონოდ მოხდაო, და სთხოვენ გაუქმებას. არჩევნების უკანონობას შემდეგ საბუთებზე ამყარებენ: ა) არჩევნებში ბევრი ისეთი იღებდა მონაწილეობას, რომელსაც მამული გაუყიდნია და ხმა არა აქვსო (აქ ჩამოთვლილია რამდენიმე ასეთი კაცი); ბ) ბევრს ნედოიმკები შემოუტანელი აქვს და არჩევნებში მონაწილეობა არ შეეძლო (აქაც ჩამოთვლილია რამდენიმე კაცი); გ) სამართალს ქვეშ მყოფმა კაცებმა მიიღეს მონაწილეობა (ჩამოთვლილია); დ) მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში აგრეთვე მაგარის სასმელების ვაჭრებმა, რაც კანონის ძალით აღკრძალულიაო (დასახელებულია სამიოდე კაცი); ე) არჩენების სამზადისი უკანონო იყო, რადგან თვითონ გამგეობაში შეადგინეს სასურველ კანდიდატთა სია, დაბეჭდეს და დაურიგეს „უვიც ხალხს“ (темный народъ); შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ ამ კანდიდატებმა მეტი ხმა მიიღეს; ამას გარდა მათი ყუთები პირველ წყებაში გამოსჭიმეს; ვ) უკანონოდ სთვლიან აგრეთვე იმასაც, რომ ქალაქის მამგეობაში მოსამსახურე პირებმა იყარეს კენჭი; ზ) ბოლოს უკანონოდ სთვლიან კენჭების დათვლასაც და ამბობენ ასისტენტებმა რიგ-რიგად კი არა, ერთსა და იმავე დროს დათვალეს კენჭებიო. იწუნებენ აგრეთვე ასისტენტებს—გამგეობის მომხრენი იყვნენ, ამიტომ ერთის მაგიერ ორ კენჭს აძლევდნენ თეთრში ჩასაგდებადაო. საჩივარს ხელს აწერს რვა კაცი. მათ შორის არის ბ-ნი დიდიმ ჩიკვაიძე. ეს საჩივარი ბ-ნმა გუბერნატორმა გადასცა ქალაქის გამგეობას და პასუხი მოსთხოვა. როგორც პასუხიდანა სჩანს, ყველა საბუთი უნიადაგო გამოდგა, გარდა სამართალში მიცემულ პირთა მონაწილეობისა, რომელთა შესახებაც გამგეობას ამდენხანს არავითარი ცნობა არა ჰქონია. ერთის სიტყვით, მთელი ექვსი ფურცელი ქაღალდი, რომლის შედგენაზედაც უთუოდ ორმა-სამმა ვექილმა იტეხა თავი, სრულიად ფუჭი გამოდგა.

ამხანაგი

* * *

უცხოეთის წვრილი ამბები

განსვენებულის იმპერატორის ვილჰელმის მოკვლის განზრახვა. როგორ გაუცრუვდათ, ამ ამბავს, რომელიც თავის დროზე დამალეს და არ გამოამჟღავნეს, თავის მოგონებაში ფრანგების და პრუსიელების ომზე იგონებს ფრანგების ჯარების ექიმი გოლესი, რომელიც ამ ამბავს დასწრებია.

„31 აგვისტოსაო,—სწერს გოლესი,—ჩვენ უცბად შეგვატყობინეს, რომ პრუსიის მეფე შემოივლის ჩვენთან ჩვენის საავადმყოფოს დასათვალიერებლადაო.

მართლაცა და, როდესაც მე ჯერ კიდევ ჰრილობებს ვუხვევდი დაჰრილებს, კარებზე მოგვადგა ეტლები, პირველიდან გადმოხტა პრუსიის მეფე, ხოლო მეორეში გადაჰიმულიყო ბისმარკი და თითქო ღრმა ფიქრში იყო წასული.

მე გავექანე მეორე სართულში, სადაც დაჰრილი აფიცრები იწვნენ და მინდოდა ცოტა რომ რიგზე მომეყვანა, ვიდრე მეფე თავის ამალით და უფროსი ექიმის თანხლებით ქვემო სართულში მყოფ ავადმყოფებს ათვალიერებდა. ჩვენ ასე მალე არ მოველოდით მეფეს და ამიტომ ფაცი—ფუცი შეგვიდგა.

რადგანაც მძიმე დაჰრილები ბევრი გვყვანდნენ, რომ არ შეწუხებინა, კიბეებზე ძალიან ფთხილად დავდიოდი თითის წვერებზე.

უცბად კიბიდან შემომესმა ხმა:—ჩუმად! ჩუმად!-ნელა!. მე ყურადღება არ მივაქციე ამ ხმას, რადგანაც უიმისოდაც ძალიან ფთხილად მივდიოდი და როგორც უნდა შევსულიყავი პირველი სართულის ოთახში, ცხადად შემომესმა თოფის ჩახმახის ჩხაკუნი და სულ გავშეშდი: კიბის მოსახვევში გულდაღმა იწვნენ ჩახმახ წამოყენებულის თოფებით, რომლებიც ქვემო სართულისკენ ჰქონდათ მიშვერილები, ორი ჯარის კაცი; ისინი მე იმ წამსვე ვიცანი.

— აქ რას აკეთებთ?—ხმის კანკალით ძლივს ვუთხარი აღელვებულმა.

— მე მინდა პრუსიის მეფე მოვკლა,—წაიდუდღუნა უფროსმა ჯარის კაცმა მორელმა, რომელიც თავში იყო დაჰრილი და ამის გამო ხშირად ჰკარგავდა გონებას.

— სულ ერთია, ასე თუ ისე, მე ხომ მაინც უნდა მოვკვდე და, თუ თან წავიყვან მეფეს და იმის მინისტრს, ისე მაინც მოვკვდები, რომ ჩემი სამშობლოს მაგიერ გადავუხდი მტრებს.

— უგუნურებო!—დავუყვირე მე,—ჩვენ ყველას ხომ სულ დაგვღუპავთ!

— ჩემთვის სულ ერთია,-გულ-გრილად მიპასუხა იმან.

ცივმა ოფლმა დამასხა. ყოველ წუთს შესაძლებელი იყო მეფე გამოჩენილიყო და,მე რომ ამ შეიარაღებულ ხალხთან ერთად დამინახავდა, ცხადია, ეჭვს შემოიტანდა ჩემზე. ამის გამო ხერხს მივმართე.

— ჰო, ძალიან კარგი, მეც თანავუგრძნობ თქვენს პატრიოტულს გულის თქმასა,—ვუთხარი მე,—მაგრამ მე ვიცი, რომ მეფე მეორე სართულში დაჰრილ ოფიცრებთან არ შევა, პირდაპირ იმ დაჰრილებთან წავა, რომელნიც მღვდლისას წვანან. წავიდეთ, მე გაჩვენებთ ალაგს, საიდანაც შეგეძლებათ თქვენი განზრახვა სისრულეში მოიყვანოთ და არც არავინ დაგინახავთ.

ამ სიტყვებით მორელი წავიყვანე გრძელს და ბნელს კარიდორში და თოფი გამოვართვი იმ მიზეზით, რომ სიბნელეში შეიძლება უნებლიედ ჩახმახი დაუშვას და თოფი გაუვარდეს. დავაყენე ფანჯარასთან, საიდანაც სჩანდა სასახლის ეკიპაჟები, და დავაიმედე, რომ იმის ამხანაგსაც მოვიყვან. გაველი საჩქაროდ კორიდორიდან და კარები კლიტით დავკეტე.

მიველი მეორე ჯარის კაცთან—ლაკოსტთან, ამოვიღე ჯიბიდან რევოლვერი, რომელიც კორიდორში სიარულის დროს გავტენე, გულზე დავადე და ვუთხარი: „თუ ეხლავე შენს ოთახში არ წახვალ, შენს კრაოტზე არ დაჯდები და გაუმრევლად არ იჯდები ვიდრე მეფე დათვალიერებას მორჩება, ეხლავე ძაღლივით სულს გაგაყრევინებ. იცოდე, თუ თქვენი განზრახვა შეიტყეს, სამხედრო სასამართლო თოფით დახვრეტას გადაგიწყვეტთ. შენ მორელზე ჭკვიანი ხარ და უნდა გესმოდეს, რომ, როდესაც მორჩები და შენს სამშობლოში დაბრუნდები, ამ განზრახვას სისულელედ ჩასთვლი. ლაკოსტი თავჩაღუნული შევიდა თავის ოთახში, სადაც ჭკვიანად იჯდა, ვიდრე მეფე ამალით ავადმყოფებს ჩამოუვლიდა.

შემდეგ მეფე წავიდა და თავის დღეში არ გაუგონია, როგორ განსაცდელსაც ასცდა.

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივნისი

პეტერბურგი. დღეს შორეულ აღმოსავლეთისკენ მიემგზავრება სადაჰოჟნო გარდასახადთა დეპარტამენტის დირექტორი ბელიუსტინი.—შავ ჭირთან საბრძოლველად უმაღლესად დამტკიცებული კომისია აცხადებს, რომ შავი-ჭირია კონსტანტინეპოლსა, ტელინსა, მანჩჟურსა და შანჰაიში-ხორველშიო.

იერუსალიმი. გერმანელი და იტალიელი ფრანცისკანელი ბერები, რომელთაც ოთხ ნოემბერს 1901 წელს თავს დაეცნენ მართლმადიდებელი ბერძენი ბერები და ერის კაცნი და რომელნიც შუამდგომლობდნენ დამნაშავეთა დასჯას, თითონ იქმნენ გამტყუნებულნი იერუსალიმის სასამართლოს მიერ. გერმანიის საელჩოს წარდგენილებით პორტამ გააუქმა გადაწყვეტილება გერმანელ ბერების შესახებ.

იოკაჰამა. დიდის მთავრის კირილე ვლადიმერის ძის ტოკიოში მისვლას ადგილობრივი გაზეთები ისე ხსნიან, რომ რუსეთისა და მოკავშირე იაპონიისა და ინგლისის პოლიტიკა ერთგვარია. ორივეს მიზანია დაიცვან მშვიდობიანობა და ხელი შეუწყონ ვაჭრობას. დიდ მთავარს დიდებულად დახვდნენ.

მოსკოვი. სასოფლო სამეურნეო საზოგადოება შეეკითხა თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, საერობო გამგეობათა წარმომადგენლებს და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის როგორ დაწესებულებათ შეუძლიანთ საუკეთესო შედეგი იქონიონ.

ვარშავა. რვა აქაურს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოლაპარაკება აქვს ამერიკის მანქანების და იარაღების ქარხნებთან, რომ წარმომადგენლობა იქონიონ აქა ნაწარმოების გასასაღებლად, რათა განსდევნონ გერმანელი წარმომადგენლები.

ჰელსინგფორსი. ექიმების მეოთხე კონგრესი გაიხსნა. მოვიდნენ ექიმები: შვეციისა 13, ნორვეგიისა 8, დანიისა 5 და სხვ. ბევრია ფინლიანდიიდან.

რეველი. გუშინ ბერლინში გარდაიცვალა ესტლიანდიის გუბერნატორი სკალონი.

სევასტოპოლი. რადგანაც კონსტანტინეპოლში შავი ჭირია, ამის გამო თეოდოსიაში გემებისათვის კარანტინია დანიშნული.

ლონდონი. მეფემ ღამე კარგად გაატარა. მეფე ადვილად მოძრაობს ლოგინში. მადა ემატება.

22 ივნისი

პეტერბურგი. 21 ივნისს ინგლისიდან დაბრუნდა ხელმწიფე მემკვიდრე.—21 ივნისს ცარსკოე სელოში ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ დაათვალიერეს კირასირთა რაზმი. ხელმწიფე მემკვიდრე ჩარიცხულ იქმნა ამ რაზმის სიაში.

პერმი. ინჟინერთა ექსპედიცია შეუდგა კვლევა-ძიებას იმ გზის გასაყვანად, რომელმაც ურალზე უნდა გადაიაროს ვიატკის შტოს ციმბირის გზასთან შესაერთებლად.

ბაქო. საბუნჩაში დაიწვა ნობელის ერთი სადრევანი.

ხარკოვი. პალატამ დაამტკიცა საბრალმდებლო ოქმი იმ ბოროტ-მოქმედებათა გამო, რომელიც ხარკოვის სადგილ-მამულო და სავაჭრო ბანკებში მოხდა.

პარიზი. სენატმა, 176 ხმის უმრავლესობით 114 ხმის წინააღმდეგ, შეიწნარა მეორე მუხლი ორის წლის სამხედრო სამსახურის პროექტისა. ამ მუხლში ნათქვამია, რომ სამხედრო ბეგარა სავალდებულოა ყველასთვის. სრული ვადა სამხედრო ბეგარისა 25 წელიწადია.—დეპუტატთა პალატაში დენიზ კოშენმა პროტესტი განაცხადა კონგრეგაციების 135 სკოლის დახურვის წინააღმდეგ. კომბმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ყოველსავე წინააღმდეგობას, გამარჯვება მიანიჭოს რევოლიუციის მისწრაფებას და უზრუნველ ჰყოს სამოქალაქო საზოგადოების გამარჯვება. ამ დეკრეტს სხვა დეკრეტებიც მოჰყვებაო. პალატამ, 333 უმრავლესობით 210 ხმის წინააღმდეგ, მოიწონა მთავრობის განცხადება და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგა.

ბერლინი. „ფრანკფ. გაზეთს“ ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან, რომ ბოლგარიის სადიპლომატო აგენტმა გადასცა პორტას ნოტა. ნოტა თხოულობს, რომ აღდგენილ იქმნას სერესში ბოლგარიის სავაჭრო სააგენტოს დერბი. თუ პორტა უარზე იქნება, აგენტს ნაბრძანები აქვს, პორტასთან ურთიერთობა შესწყვიტოს და დაბრუნდეს.

სოფია. მოვიდა აქ 24 მოსწავლე ყაზანის გიმნაზიისა. მოსწავლეებთან მასწავლებელნიც არიან. სადგურზე დახვდნენ მოსწავლე-მასწავლებელნი ადგილობრივ გიმნაზიისა და სტუდენტები. ხალხი სიხარულით მიეგება მგზავრებს. მოსწავლენი ბოლგარელ ამხანაგთა სახლებში ჩამოხტნენ.

პეტერბურგი. „ცერკოვნი ვედომოსტებში“ 22 ივნისს დაბეჭდილია უქვეშევრდომელესი მოხსენება, რომლითაც უწმინდესი სინოდი მის უდიდებულესობას გულითად მადლობას უცხადებს სამღვდელოებისათვის ახალის წესდების მინიჭებისათვის, რომლითაც საეპარქიო მღვდლებსა და მედავითნეებს ახალის წესდებით პენსია და შემწეობა ენიშნება. ამ მოხსენებაზე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ზედწარწერა: „დარწმუნებული ვარ, რომ საეპარქიო სამღვდელოება უფრო ძლიერის მხნეობით აღასრულებს თვის მუდმივ მსახურებას ჭეშმარიტად-ქრისტიანობრივის მიმართულებით“.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის ბრბოს დანარჩენი ნაწილი პატილიში განფანტეს.

სუეცი. გეჯასიდან საშიში ამბები მოვიდა. გუბერნატორი ახმედ აშიბ ფაშა გაიქცა. მედინაში პირველი შემთხვევაა, რომ დაჰკეტეს მაჰმადის მეჩითი, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია. კონსტანტინეპოლიდან მიღებულ ბრძანების თანახმადე მეჩეთი ხელ-ახლავ გააღეს. ამ ამბის მიზეზები ჯერ კიდევ არ იციან.

პარიზი. დიუბაილი საფრანგეთის ელჩად დაინიშნა პეკინში.

პეტერბურგის ბირჟა 21 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100¼ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287 მყიდვ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¼ გაყიდ.
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅝ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	176 „

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37⁵⁰ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ტფილისში

ნომრები

„ფრანცია“

შუაგულ ქალაქში, ერევნის მოედანზე, ზუბალოვის სახლებში

საზაფხულო სეზონისათვის

ოთახები თვიურად ღირს 15 მანეთიდან არა უმეტეს 30 მანეთამდინ, ხოლო დღიურად მანეთზე დაუკლებთ 40 კაპეიკს. თვიურ მდგმურთათვის გასაგრილებელი „დუშიც“ უფასოდ არის. (3—2)

ზ ი ზ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გერის მოედანზე, ეკლესიასთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754. (.წ).